Cour
Pénale
Internationale

International
Criminal
Court

დედანი: ინგლისურ ენაზე

No.: **ICC-02/05-01/12**
თარიღი: **1 მარტი 2012**

წინა საპროცესო განხილვის პალატა I

განიხილავენ: **მოსამართლე სანჯი მასენონო მონაგენგი**
კოლეგიის თავმჯდომარე
მოსამართლე სილვია სტაინერი
მოსამართლე კუნო ტარფუსერი

სუდანის ქალაქ დარფურში შექმნილი ვითარება
სასამართლო საქმე პროკურორი აბდელ რაჰიმ მუჰამედ ჰუსეინის წინააღმდეგ

საჯარო დოკუმენტი

აბდელ რაჰიმ მუჰამედ ჰუსეინის დაპატიმრების ორდერი

სასამართლოს დადგენილების 31 რეგლამენტის თანახმად, ამ დოკუმენტის შესახებ უნდა ეცნობოს შემდეგ პირებს:

პროკურატურას
პროკურორს, ბატონ ლუის მორენო ოკამპოს
პროკურორის მოადგილეს, ქალბატონ ფატუ ბენსუდას

მოპასუხეების დამცველ ადვოკატს

დაზარალებულთა იურიდიულ წარმომადგენლებს

მოსარჩლეთა იურიდიულ წარმომადგენლებს

დაზარალებულ პირებს, რომლებიც არ სარგებლობენ საადვოკატო მომსახურებით

მოსარჩლე პირებს, რომლებიც არ სარგებლობენ საადვოკატო მომსახურებით მონაწილეობის/რეპარაციისათვის

დაზარალებულთა საჯარო დაცვის ადვოკატურას

მოპასუხეთა საჯარო დაცვის ადვოკატურას

ქვეყნების წარმომადგენლებს

სასამართლო ექსპერტებს

რეესტრი

რეგისტრატორი
ქ-ნი სილვანა არბია

რეგისტრატორის მოადგილე
ბ-ნი დიდიერ პრეირა

დაზარალებულთა და მოწმეთა ქვედანაყოფი

საპატიმრო განყოფილება

დაზარალებულთა მონაწილეობისა და რეპარაციის განყოფილება

სხვა

საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს **წინა საპროცესო განხილვის პალატა I** (შესაბამისად "პალატა" და "სასამართლო");

გაეცნო "პროკურორის განცხადებას 58-ე მუხლის თანახმად" ("პროკურორის განცხადება"),[1] რომელიც 2011 წლის 2 დეკემბერს პროკურორმა შეიტანა სასამართლოში სუდანის ქალაქ დარფურში შექმნილი სიტუაციის აღწერის მიზნით ("დარფურის სიტუაცია") და რომლის თანახმადაც იგი ითხოვს აბდელ რაჰიმ მუჰამედ ჰუსეინის („ბ-ნი ჰუსეინი") დაპატიმრებაზე ორდერის გაცემას მის მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებებისა და ომის დროს ჩადენილი დანაშაულებების გამო;

გაეცნო პროკურორის მიერ გადაცემულ სამხილ მასალებს;[2]

აცნობს "გადაწყვეტილებას პროკურორის განცხადებაზე 58-ე მუხლის თანახმად აბდელ რაჰიმ მუჰამად ჰუსეინის შესახებ,"[3] რომელშიც პალატამ დაადგინა, რომ იგი საკმარისად დაკმაყოფილდა არსებული დამაჯერებელი საფუძვლის არსებობით იმის შესახებ, რომ კანონმდებლობის 25(3)(a) მუხლის შესაბამისად, ბ-ნი ჰუსეინი ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, მის მიერ საომარ ქმედებებსა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებში არაპირდაპირი მონაწილეობის გამო და რომ მისი დაპატიმრების აუცილებლობა განისაზღვრება კანონმდებლობის 58(1)(b) მუხლით;

აცნობს რომის კანონმდებლობის ("კანონმდებლობა") 7, 8, 13(b), 19(1), 25(3)(a), 27, 58(1) და (2)(d) მულებს;

---

[1] ICC-02/05-237-US-Exp with Annexes; ICC-02/05-237-Red.
[2] ICC-02/05-237-US-Exp, Annexes A & 1-3.46; ICC-02/05-240, Annexes A & B1-B28.
[3] ICC-02/05-01/12-1-Red.

განიხილავს, რომ პროკურორის მიერ გაკეთებული განცხადებისა და მის მიერ ამ განხცადების მხარდასაჭერად წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, აგრეთვე ნებისმიერი შემდგომი გადაწყვეტილების ობიექტურობის პრინციპის შელახვის გარეშე, რომელიც შესაძლებელია კანონმდებლობის მე-19 მუხლის შესაბამისად, ბ-ნი ჰუსეინის წინააღმდეგ აღძრული საქმე შედის ამ სასამართლოს დაქვემდებარებაში;

განიხილავს, რომ პროკურორის განცხადების მხარდამჭერი და მის მიერვე წარმოდგენილი სამხილის მასალებზე დაყრდნობით, არ არსებობს რაიმე ყალბი მიზეზი ან რაიმე თავისთავად ცხადი ფაქტორი, რამაც კანონმდებლობის 19(1) მუხლის თანახმად ამ მომენტისათვის შეიძლება პალატას აღუძრას სიფრთხილის მომენტი ბ-ნი ჰუსეინის წინააღმდეგ საქმის აღძვრასთან დაკავშირებით;

განიხილავს, რომ არსებობს სარწმუნო საფუძველი იმისა, რომ დაახლოებით 2002 წლის აგვისტოდან და პროკურორის მიერ გაკეთებული განცხადების სრული პერიოდის განმავლობაში კანონმდებლობის 8(2)(f) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებიდან გამომდინარე მიმდინარეობდა გაჭიანურებული შეიარაღებული კონფლიქტი ერთის მხრივ, სუდანის რესპუბლიკის მთავრობის მხარის ინტერესების დამცველი სუდანის შეიარაღებული ძალებისა და ჯანჯავიდის/მილიციისა და მეორე მხრივ, ორგანიზებულ მეამბოხეთა ჯგუფების, სუდანის განთავისუფლების მოძრაობის / არმიასა (SLM/A) და სუდანის რესპუბლიკის ქალაქ დარფურის სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის მოძრაობას (JEM) შორის;

განიხილავს, რომ არსებობს სარწმუნო საფუძველი იმისა, რომ სუდანის შეიარაღებულმა ძალებმა და ჯანჯავიდის / მილიციამ, მათ მიერ საერთო ძალებით ჩატარებული კონტრტერორისტული კომპანიის შედეგად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში განახორციელეს რამოდენიმე თავდასხმა შემდეგ ქალაქებზე: კოდუმი, ბინდისი,

მუკჯარი, არავალა და მათი მიმდებარე ტერიტორიები, რაც გრძელდებოდა სულ მცირე 2003 წლიდან 2004 წლამდე;

განიხილავს, რომ არსებობს სარწმუნო საფუძველი იმისა, რომ ამ თავდასხმების დროს, ისეთი საომარი დანაშაულებები, როგორიცაა: მკვლელობა, კანონმდებლობის 8(2)(c)(i) მუხლის კანონდარღვევით, გაუპატიურება, კანონმდებლობის 8(2)(e)(vi) მუხლის კანონდარღვევით, პირადი ღირსების ხელყოფა კანონმდებლობის 8(2)(c)(ii) მუხლის კანონდარღვევით, სამოქალაქო პირების წინააღმდეგ მიმართული თავდასხმები კანონმდებლობის 8(2)(e)(i) მუხლის კანონდარღვევით, ქონების განადგურება კანონმდებლობის 8(2)(e)(xii) მუხლის კანონდარღვევით და მარადიორობა კანონმდებლობის 8(2)(e)(v) მუხლის კანონდარღვევით ჩადენილ იქნა ძირითადად ფურის მოსახლეობის წინააღმდეგ შემდეგ ქალაქებში: კუდუმში, ბინდისიში, მუკჯარში, არავალაში, და მათ მიმდებარე რაიონებში სუდანის შეიარაღებული ძალებისა და ჯანჯავედის მილიციის მიერ;

განიხილავს, რომ არსებობს სარწმუნო საფუძველი იმისა, რომ სუდანის შეიარაღებული ძალებისა და ჯანჯავედის მილიციის მიერ განხორციელებული თავდასხმები ჩატარებულ იქნა სისტემატურ და ფართოდგავრცელებული მასშტაბის ფარგლებში სახელწიფოს ან ორგანიზაციის კანონმდებლობის თანახმად, ითვალისწინებდა იმ სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმას, რომლებიც განეკუთვნებოდნენ ძირითადად ფურის, მასალიტისა და ზაღავას ჯგუფებს და რომლებიც აღიქმებოდნენ და ასოცირდებოდნენ მეამბოხეებთან;

განიხილავს, რომ არსებობს სარწმუნო საფუძველი იმისა, რომ ამ თავსახმებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი ისეთი დანაშაულების დროს, როგორიცაა: დევნა კანონმდებლობის 7(1)(h) მუხლის კანონდარღვევით, მკვლელობა, კანონმდებლობის 7(1)(a) მუხლის კანონდარღვევით, იძულებითი გადასახლება, კანონმდებლობის 7(1)(d)

მუხის კანონდარღვევით, დაპატიმრება ან სასტიკი თავისუფლების აღკვეთა კანონმდებლობის 7(1)(e) მუხლის კანონდარღვევით, წამება, კანონმდებლობის 7(l)(f) მუხლის კანონდარღვევით, გაუპატიურება, კანონმდებლობის 7(1)(g) მუხლის კანონდარღვევით და სხვა სახის არაადამიანური ქმედებები კანონმდებლობის 7(1)(k) მუხლის კანონდარღვევით ჩადენილ იქნენ ძირითადად ფურის მოსახლეობის წინააღმდეგ შემდეგ ქალაქებში: კოდუმი, ბინდისი, მუკჯარი, არავალა, და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე სუდანის შეიარაღებული ძალებისა და ჯანჯავედის მილიციის მიერ;

განიხილავს, რომ არსებობს სარწმუნო საფუძველი იმისა, რომ სუდანის რესპუბლიკის უმაღლეს დონეზე შემუშავებული იქნა საერთო გეგმა კონტრტერორისტული კომპანიის ჩასატარებლად SLM/A-ის, JEM-ისა და სხვა შეიარაღებული ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც მთავრობას ეწინააღმდეგებოდნენ, და რომ საერთო გეგმის ძირითადი კომპონენტი იყო თავდასხმის მოწყობა სამოქალაქო მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომლებიც სუდანის რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიჩნეულნი იყვნენ მეამბოხეთა ჯგუფების მოკავშირეებად და რომლებიც ძირითადად განეკუთვნებოდნენ ფურის, მასალიტისა და ზაღავას ჯგუფებს, რომ აღნიშნული დანაშაულებები ჩადენილი იქნა ზოგადი გეგმის მიხედვით;

განიხილავს, რომ არსებობს სარწმუნო საფუძველი იმისა, რომ, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა და პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელმა პირმა დარფურში და როგორც სუდანის რესპუბლიკის მთავრობის გავლენიანმა წევრმა, ბატონმა ჰუსეინმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა საერთო გეგმის ფორმირებასა და განხორციელებაში, *სხვათა შორის,* მის მიერ განხორციელებული ეროვნული, სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი უსაფრთხოების ორგანოების ზოგადი კოორდინაციის მეშვეობით და დარფურის პოლიციის ძალებისა და ჯანჯავედის / მილიციის დაქირავებით, მათი შეიარაღებითა და დაფინანსებით;

განიხილავს, რომ არსებობს სარწმუნო საფუძველი იმისა, რომ ბატონმა ჰუსეინმა იცოდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებების შესახებ და რომ მას განზრახული ჰქონდა აღნიშნული დანაშაულებების ჩადენა;

განიხილავს, რომ არსებობს დამარწმუნებელი საფუძველი იმისა, რომ ბატონმა ჰუსეინმა სისხლის სამართლის დანაშაულის კანონმდებლობის 25(3)(a) მუხლის თანახამად ჩაიდინა კაცობრიობის წინაშე შემდეგი სახის დანაშაულებები და საომარი დანაშაულებები, როგორც ეს ჩამოყალიბებულია პროკურორის განცხადებაში:

(i) დევნა, როგორც კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული, კანონმდებლობის 7(l)(h) მუხლით, კერძოდ, (a) 2003 წლის 15 აგვისტოდან 2003 წლის 31 აგვისტომდე დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის რაიონის, ბუნდის ადმინისტრაციული უბნის სოფელ კოდუმისა და მის მიმდებარე რაიონებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის მოსახლეობის დევნა, მათ წინააღმდეგ განხორციელებული მკვლელობები, სამოქალაქო მოსახლეობაზე განხორციელებული თავდასხმები, ქონების განადგურება და ძალით გადასახლება, (b) 2003 წლის 15 აგვისტოს დასავლეთ დარფურის, ვადი სალიჰის რაიონის, ბუნდის ადმინისტრაციული უბნის, ქალაქ ბინდისისა და მის მიმდებარე რაიონებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის მოსახლეობის დევნა, მათ წინააღმდეგ ჩადენილი მკვლელობები, გაუპატიურება, სამოქალაქო მოსახლეობაზე განხორციელებული თავდასხმები, არაადამიანური მოპყრობა, მარადიორობა, ქონების განადგურება და მოსახლეობის იძულებითი გადასახლება, (c) 2003 წლის აგვისტოსა და 2004 წლის მარტს შორის დასავლეთ დარფურის, მუკჯარის რაიონის ქალაქ მუკჯარისა და მის მიმდებარე რაიონებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის მოსახლეობის დევნა, და მათ წინააღმდეგ განხორციელებული მკვლელობები, სამოქალაქო პირებზე თავდასხმა, დაპატიმრება და სასტიკი თავისუფლების აღკვეთა, წამება, მარადიორობა და ქონების განადგურება, და (d) 2003 წლის დეკემბერს დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის რაიონის ქალაქ არავალასა და მის მიმდებარე რაიონებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის მოსახლეობის დევნა, მკვლელობები, გაუპატიურება, სამოქალაქო მოსახლეობაზე განხორციელებული თავდასხმები, პირადი ღირსების ხელყოფა, არაადამიანური მოპყრობა, მარადიორობა, ქონების განადგურება და მოსახლეობის იძულებითი გადასახლება;

(ii) მკვლელობა, რომელიც წარმოადგენს კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს კანონმდებლობის 7(l)(a) მუხლით,

კერძოდ, (a) დაახლობით 2003 წლის 15 აგვისტოსა და დაახლოებით 2003 წლის 31 აგვისტოს დასავლეთ დარფურის, ვადი სალიჰის რაიონის, ბუნდის საადმინისტრაციო უბნის, სოფელ კოდუმისა და მის მიმდებარე რაიონებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი მკვლელობები, (b) დაახლობით 2003 წლის 15 აგვისტოს დასავლეთ დარფურის, ვადი სალიჰის რაიონის, ბუნდის საადმინისტრაციო უბნის, ქალაქ ბინდისისა და მის მიმდებარე რაიონებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი მკვლელობები, (c) 2003 წლის სექტემბრიდან 2003 წლის ოქტომბრამდე, და დაახლოებით 2003 წლის დეკემბრიდან 2004 წლის მარტამდე დასავლეთ დარფურის, მუკჯარის რაიონის, ქალაქ მუკჯარსა და მის მიმდებარე რაიონებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის მოსახლეობის მამაკაცების წინააღმდეგ ჩადენილი მკვლელობები, და (d) დაახლოებით 2003 წლის დეკემბერს დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის რაიონის ქალაქ არავალასა და მის მიმდებარე რაიონებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი მკვლელობები;

(iii) მკვლელობა, რომელიც წარმოადგენს კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს კანონმდებლობის 8(2)(c)(i) მუხლით,

კერძოდ (a) დაახლობით 2003 წლის 15 აგვისტოს და დაახლოებით 2003 წლის 31 აგვისტოს დასავლეთ დარფურის, ვადი სალიჰის რაიონის, ბუნდის საადმინისტრაციო უბნის, სოფელ კოდუმისა და მის მიმდებარე რაიონებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი მკვლელობები, (b) დაახლობით 2003 წლის 15 აგვისტოს დასავლეთ დარფურის, ვადი სალიჰის რაიონის, ბუნდის საადმინისტრაციო უბნის, ქალაქ ბინდისისა და მის მიმდებარე რაიონებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი მკვლელობები, (c) 2003 წლის სექტემბრიდან 2003 წლის ოქტომბრამდე, დაახლოებით 2003 წლის დეკემბერსა და დაახლოებით 2004 წლის მარტში დასავლეთ დარფურის, მუკჯარის რაიონის, ქალაქ მუკჯარსა და მის მიმდებარე რაიონებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის მოსახლეობის მამაკაცების წინააღმდეგ ჩადენილი მკვლელობები, და (d) დაახლოებით 2003 წლის დეკემბერს დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის რაიონის ქალაქ არავალასა და მის მიმდებარე რაიონებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის სამოქალაქო მოსახლეობის

წინააღმდეგ ჩადენილი მკვლელობები მაშინ, როცა ეს მოქალაქეები მონაწილეობას არ იღებდნენ ძალმომრეობაში;

(iv) სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი თავდასხმები წარმადგენენ საომარ დანაშაულს კანონმდებლობის 8(2)(e)(i) მუხლით,

კერძოდ (a) დაახლობით 2003 წლის 15 აგვისტოდან დაახლოებით 2003 წლის 31 აგვისტომდე დასავლეთ დარფურის, ვადი სალიჰის რაიონის, ბუნდის საადმინისტრაციო უბნის, სოფელ კოდუმისა და მის შემოგარენში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის მოსახლეობის წინააღმდეგ განზრახ განხორციელებული თავდასხმები, (b) დაახლობით 2003 წლის 15 აგვისტოს დასავლეთ დარფურის, ვადი სალიჰის რაიონის, ბუნდის საადმინისტრაციო უბნის, ქალაქ ბინდისისა და მის მიმდებარე რაიონებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ განზრახ განხორციელებული თავდასხმები, (c) 2003 წლის აგვისტოდან 2004 წლის მარტამდე, დასავლეთ დარფურის, მუკჯარის რაიონის, ქალაქ მუკჯარსა და მის მიმდებარე რაიონებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ განზრახ განხორციელებული თავდასხმების ხელმძღვანელობა, (d) დაახლოებით 2003 წლის დეკემბერს დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის რაიონის ქალაქ არავალასა და მის მიმდებარე რაიონებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ განზრახ განხორციელებული თავდასხმების ხელმძღვანელობა;

(v) ქონების განადგურება წარმოადგენს საომარ დანაშაულს კანონმდებლობის 8(2)(e)(xii) მუხლით,

კერძოდ, (a) დაახლოებით 2003 წლის 15 აგვისტოდან დაახლოებით 2003 წლის 31 აგვისტომდე, დასავლეთ დარფურის, ვადი სალეჰის რაიონის, ბუნდისის ადმინისტრაციული უბნის სოფელ კოდუმსა და მის შემოგარენში ძირითადად ფურის მოსახლეობის საკუთრებაში არსებული ქონების განადგურება, კოდუმ ჯურეჰში, კოდუმ ტინეჰში, კოდუმ ვოსტასა და კოდუმ დერლივაში სახლების გადაწვის ჩათვლით, (b) დაახლობით 2003 წლის 15 აგვისტოს დასავლეთ დარფურის, ვადი სალიჰის რაიონის, ბუნდის საადმინისტრაციო უბნის, ქალაქ ბინდისისა და მის მიმდებარე რაიონებში ფურის მოსახლეობის საკუთრებაში არსებული ქონების განადგურება, საკვების შესანახი საწყობის, მეჩეთისა და საცხოვრებელი შენობების გადაწვის ჩათვლით, (c) 2003 წლის აგვისტოდან 2004 წლის მარტამდე, დასავლეთ დარფურის, მუკჯარის რაიონის, ქალაქ მუკჯარსა და მის მიმდებარე რაიონებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის სამოქალაქო მოსახლეობის

საკუთრებაში არსებული ქონების განადგურება, საცხოვრებელი შენობების, მოსავლისა და ფერმების გადაწვის ჩათვლით, და (d) დაახლოებით 2003 წლის დეკემბერს დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის რაიონის ქალაქ არავალასა და მის მიმდებარე რაიონებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის სამოქალაქო მოსახლეობის საკუთრებაში არსებული ქონების განადგურება და ქალაქ არავალას თითქმის მთლიანი მასშტაბით განადგურება;

(vi) იძულებითი გადასახლება წარმოადგენს კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს კანონმდებლობის 7(l)(d) მუხლით,

კერძოდ, (a) დაახლობით 2003 წლის 15 აგვისტოდან დაახლოებით 2003 წლის 31 აგვისტომდე 20,000 რაოდენობის ადამიანთა ძირითადად ფურის სამოქალაქო მოსახლეობის იძულებითი გადასახლება დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის რაიონის კოდუმისა და მისი შემოგარენი სოფლებიდან დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის რაიონის ქალაქ ბინდისსა და სხვა ადგილებზე, რამაც სოფლების დაცარიელება გამოიწვია, (b) დაახლოებით 2003 წლის 15 აგვისტოს, 34,000 რაოდენობის ადამიანთა ძირითადად ფურის სამოქალაქო მოსახლეობის იძულებითი გადასახლება დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის რაიონის ქალაქ ბინდისისა და მისი შემოგარენი ადგილებიდან დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის ქალაქ მუკჯარსა და მის მიმდებარე ადგილებში, რამაც ქალაქის დაცარიელება გამოიწვია, (c) დაახლოებით 2003 წლის დეკემბერს, 7,000 რაოდენობის ადამიანთა ძირითადად ფურის მოსახლეობის იძულებითი გადასახლება დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის რაიონის ქალაქ არავალადან და მისი მიმდებარე ადგილებიდან დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის რაიონის ისეთ ქალაქებში, როგორიცაა დელეიგი, გარსილა და სხვა ადგილები, რამაც ქალაქის დაცარიელება გამოიწვია;

(vii) გაუპატიურება წარმოადგენს კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს კანონმდებლობის 7(l)(g) მუხლით,

კერძოდ, (a) დაახლოებით 2003 წლის 15 აგვისტოს, დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის რაიონის ბუნდისის საადმინისტრაციო უბნის ქალაქ ბინდისში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის მოსახლების გოგონებისა და ქალების გაუპატიურება და (b) დაახლოებით 2003 წლის დეკემბერს დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის რაიონის ქალაქ არავალში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის მოსახლეობის გოგონებისა და ქალების გაუპატიურება;

(viii) გაუპატიურება წარმოადგენს საომარ დანაშაულს კანონმდებლობის 8(2)(e)(vi) მუხლით,

კერძოდ, (a) დაახლოებით 2003 წლის 15 აგვისტოს, დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის რაიონის ბუნდისის საადმინისტრაციო უბნის ქალაქ ბინდისში მაცხოვრებელი ძირითადად

ფურის მოსახლეების გოგონებისა და ქალების გაუპატიურება და (b) დაახლოებით 2003 წლის დეკემბერში დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის რაიონის ქალაქ არავალასა და მის მიმდებარე ადგილებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის მოსახლეობის გოგონებისა და ქალების გაუპატიურება;

(ix) არაადამიანური მოპყრობა წარმოადგენს კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს კანონმდებლობის 7(l)(k) მუხლით,

კერძოდ, (a) დაახლობით 2003 წლის 15 აგვისტოს დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის რაიონის, ბუნდის ადმინისტრაციული უბნის ქალაქ ბინდისში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ მიყენებული არაადამიანური ტანჯვა, სხეულის, როგორც გონებრივი ასევე ფიზიკურ ჯანმრთელობაზე სერიოზული ზიანის მიყენებით, და (b) დაახლობით 2003 წლის 15 დეკემბერს დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის რაიონის, ქალაქ არავალასა და მის შემოგარენ რაიონებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ მიყენებული არაადამიანური ტანჯვა, სხეულის, როგორც გონებრივი, ასევე ფიზიკურ ჯანმრთელობაზე სერიოზული ზიანის მიყენებით;

(x) მარადიორობა წარმოადგენს საომარ დანაშაულს კანონმდებლობის 8(2)(e)(v) მუხლით,

კერძოდ, (a) დაახლობით 2003 წლის 15 აგვისტოს დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის რაიონის, ბუნდის ადმინისტრაციული უბნის ქალაქ ბინდისში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის სამოქალაქო მოსახლეობის საკუთრებაში არსებული ქონების მარადიორობა, პირადი საოჯახო ნივთების მარადიორობის ჩათვლით, (b) 2003 წლის აგვისტოდან 2004 წლის მარტამდე, დასავლეთ დარფურის მუკჯარის რაიონის, ქალაქ მუკჯარსა და მის მიმდებარე ადგილებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის მოსახლეობის საკუთრებაში არსებული ქონების მარადიორობა, მაღაზიების, სახლებისა და საქონლის მარადიორობის ჩათვლით, (c) დაახლოებით 2003 წლის დეკემბერში დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის რაიონის ქალაქ არავალასა და მის მიმდებარე ადგილებში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის მოსახლეობის საკუთრებაში არსებული ქონების მარადიორობა, მაღაზიების, სახლებისა და საქონლის მარადიორობის ჩათვლით;

(xi) დაპატიმრება ან სასტიკი თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულს კანონმდებლობის 7(l)(e) მუხლით,

კერძოდ, 2003 წლის აგვისტოს დასაწყისში დასავლეთ დარფურის მუკჯარის რაიონის ქალაქ მუკჯარსა და მის შემოგარენში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის სამოქალაქო

მოსახლეობიდან სულ მცირე 400 სამოქალაქო პირის დაპატიმრება ან მათი ფიზიკური თავისუფლების სასტიკი აღკვეთა;

(xii) წამება წარმოადგენს კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს კანონმდებლობის 7(l)(f) მუხლით,

კერძოდ, 2003 წლის დასაწყისში დასავლეთ დარფურის მუკჯარის რაიონის ქალაქ მუკჯარსა და მის გარეუბანში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის წარმომადგენელი სულ მცირე 60 სამოქალაქო პირის წამება; და

(xiii) ადამიანის ღირსების შელახვა წარმოადგენს საომარ დანაშაულს კანონმდებლობის 8(2)(c)(ii) მუხლით,

კერძოდ, დაახლოებით 2003 წლის დეკემბერში დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰის რაიონის ქალაქ არავალასა და მის შემოგარენში მაცხოვრებელი ძირითადად ფურის სამოქალაქო მოსახლეობის წარმომადგენელი გოგონებისა და ქალების ღირსების შელახვა.

განიხილავს რომ, ამ დროისათვის, აუცილებლობა მოითხოვს ბატონი ჰუსეინის დაპატიმრებას კანონმდებლობის 58(1)(b)(i) და (ii) მუხლებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი წარდგენა სასამართლოს წინაშე, რათა მან საფრთხე არ შეუქმნას ან ხელი არ შეუშალოს გამოძიების პროცესს;

ამ მიზეზების გათვალისწინებით,

ამრიგად გამოსცემს:

აბდელ რაჰიმ მუჰამად ჰუსეინის **დაპატიმრების ორდერს**, რომელიც წარმოადგენს სამოც წელს გადაცილებულ სუდანის მოქალაქეს, და რომელიც სავარაუდოდ დაბადებულია

ჩრდილოეთ ხარტუმის ქალაქ კარმის დანკლას მიმდებარე რაიონში, რომელიც სავარაუდოდ ზემოაღნიშნული დანაშაულებების ჩადენისას ასრულებდა სუდანის რესპუბლიკის მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობას და იყო პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელი დარფურში, და რომელიც 2005 წელს დანიშნულ იქნა სახელმწიფო თავდაცვის მინისტრად, რომელ პოზიციაზეც იგი იმყოფებოდა პროკურორის მიერ ამ განცხადების სასამართლოში შეტანის დროისათვის.

დოკუმენტი მომზადებულია ინგლისურ, ფრანგულ ენებზე, რომელთაგანაც ინგლისური ვერსია წარმოადგენს ოფიციალურ დედანს.

/ხელმოწერილია/

მოსამართლე სანჯი მასენონო მონაგენგი

კოლეგიის თავმჯდომარე

/ხელმოწერილია/	*/ხელმოწერილია/*
_____	_____
მოსამართლე სილვია სტაინერი	**მოსამართლე კუნო ტარფუსერი**

დათარიღებულია 2012 წლის 1 მარტით, ხუთშაბათი

ჰააგა, ნიდერლანდები